# სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აფილირებული პერსონალისათვის დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ

**დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის**
**აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 თებერვლის № 09/2022 დადგენილებით**

## მუხლი 1. მიზანი

წინადემბარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში კონსერვატორიის) აფილირებული პერსონალისათვის დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, კონსერვატორიის წესდებით, კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) აფილირების წესითა და პირობებით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 123/2021 დამტკიცებული „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) აფილირების წესი და პირობების“ დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი 2. ზოგადი დებულებანი

1. დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიება არის კონსერვატორიის მხრიდან განსაზღვრული აქტივობა, რომელიც გამოიყენება კონსერვატორიასთან აფილირების შეთანხმების მქონე აკადემიური პერსონალის მიმართ.
2. დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიება არ შეიძლება ზღუდავდეს და/ან აფერხებდეს არააფილირებული აკადემიური პერსონალის კანონით განსაზღვრულ საქმიანობას, უფლებებსა და პასუხისმგებლობებს როგორც ინსტიტუციის ფარგლებში, ასევე მის გარეთ.

## მუხლი 3. დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიებები

1. დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიებების სახით აფილირებული აკადემიური პერსონალი სარგებლობს რიგითობის პრივილეგიით:

   ა) კონსერვატორიის გამომცემლობაში დასაბეჭდად წარდგენილი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და სხვ. გამოცემის მიზნით განსაზღვრული სამუშაოების უზრუნველყოფისას;

   ბ) კალენდარული წლის განმავლობაში საერთაშორისო საშემსრულებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი, კონცერტი და სხვ.)

მონაწილეობის მიზნით კონსერვატორიის ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვრული თანადაფინანსების/დაფინანსების გაცემისას;

გ) კალენდარული წლის განმავლობაში საკონცერტო მასალების ჩაწერის უზრუნველყოფისას;

2. კონსერვატორიის მისიით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში გამორჩეული მიღწევებისა და დამსახურებისათვის აფილირებული აკადემიური პერსონალის მიმართ კონსერვატორია უფლებამოსილია გამოიყენოს ფინანსური წამახალისებელი მექანიზმი ერთჯერადი ფულადი ჯილდოს, პრემიის და/ან დროებითი სახელფასო დანამატის სახით.

3. აფილირებული პირის სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხანგრძლივი და/ან სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემების დროს კონსერვატორია უფლებამოსილია უზრუნველყოს ერთჯერადი ან დროებითი მატერიალური მხარდაჭერა;

4. აფილირებული აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია ისარგებლოს კონსერვატორიის წესდების 29-ე მუხლის დ) პუნქტით განსაზღვრული სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით უწყვეტად და მაქსიმალური ვადით (10 თვით) ან ნაწილ-ნაწილ, კონსერვატორიის წლიური ბიუჯეტის გათვალისწინებით, ისე რომ ამით ზიანი არ მიადგეს საგანმანათლებლო პროცესს;

5. ემერიტუსის წოდების მინიჭება ხორციელდება მხოლოდ აფილირებული სტატუსის მქონე პროფესორზე;

**მუხლი 4. გარდამავალი დებულებანი**

წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მე-5 პუნქტი ამოქმედდეს კონსერვატორიის წესდებაში დაგეგმილი ცვლილებების ძალაში შევლისთანავე.